

1941



საქართველო  
გიგანტი

საქართველოს საგაოთა სოციალისტური რესპუბლიკის  
მთავრობის

# დადგენილებათა და გაცემაგულებათა პრეზიდი

1941 წ. მაისი 15

№ 6

თბილისი

ზ 0 6 ა ა რ ს 0

სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (პ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი

27. საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში 1941 წლისათვის საწარმოო გეგმებისა და შემოსავალ-გასაცემის ხარჯთაღრიცვების შედგენის ღონისძიებათა შესახებ.
28. საკოლმეურნეო განუყოფელი ფონდების მდგრადირეობის შემოწმების მიმღინარეობის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

29. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ნაკრძალების, ზოოპარკებისა და ზოობაღების სამმართველოს უფროსად პროფესორ ნ. ნ. კეცოველის დანიშნულის შესახებ.
30. „მუშებისა და მოსამაშურებისათვის უფასოდ დასარიგებლად საწარმოებსა და დაწესებულებებისათვის უფრონლებაზეთების გამოწერის აკრძალვის თაობაზე“ სსრ კავშირის სახელმსამართის 1937 წ. 25 დეკემბრის და საქართველოს სსრ სახელმსამართის 1938 წ. 2 იანვრის დადგენილებათა შესრულების შესახებ.
31. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან ნაკრძალების, ზოოპარკებისა და ზოობაღების სამმართველოს მოწყობის შესახებ.
32. ამხ. ბ. ჩხეიძის საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილედ დანიშნულის შესახებ.
33. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობის შესახებ.
34. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობის შესახებ.



## სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილები

27. საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში 1941 წლისათვის საწარმოო გეგ-  
მებისა და შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვების შედგენის ღონის-  
ძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრა-  
ლური კომიტეტი აღნიშნავენ: მიუხედავად იმისა, რომ საწარმოო გეგმებსა და  
შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვებს დიდი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეო-  
ბათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და კოლმეურნეო-  
ბათა და კოლმეურნეთა შემოსავლიანობის ზრდის საქმეში,—მთელ რიგ რაიო-  
ნებში პარტიის რაიკომიტები, რაიაღმასყოມები, აგრეთვე სამიწათმოქმედო ორგა-  
ნოები საქმით ყურადღებას არ აქცივენ საწარმოო გეგმებისა და შემოსავალ-გა-  
სავლის ხარჯთაღრიცხვების დროულად და ხარისხოვნად შედგენას კოლმეურ-  
ნეობებში, რის გამოც კოლმეურნეობათა 1940 წელს შედგენილ საწარმოო გეგ-  
მებში სერიოზული ნაკლოვანებანია დაშვებული.

ეშირია შემთხვევები, როდესაც შედგენილი საწარმოო გეგმები არ ეთან-  
ხმება მოცემული კოლმეურნეობისათვის დაწესებულ სახელმწიფო დავალებებს.

ასე, მაგალათად, თბილისის რაიონის სოფელ დიღმის სტალინის სახელო-  
ბის კოლმეურნეობისათვის დასილოსების სახელმწიფო დავალება დაწესებული  
იყო 100 ტონის რაოდენობით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კოლმეურნეობამ თა-  
ვის გეგმაში გაითვალისწინა მხოლოდ 80 ტონის დასილოსება, კოლმეურნეობას  
სრულიად არ გაუთვალისწინებია თავის გეგმაში თუთის 2.700 ნერგის გაშენე-  
ბის სახელმწიფო დავალება და 20 ჰექტარი ახალი ფართობის ათვისება.

ბორჩალოს რაიონის სოფ. სარვანის სტალინის სახელობის კოლმეურნეო-  
ბამ 2,100 ტონა ნაკლის გატარის სახელმწიფო დავალება 870 ტონამდე შეამ-  
ცირა. კოლმეურნეობისათვის დაგეგმილი 1350 ბატქის გამოზრდის ნაცვლად,  
კოლმეურნეობამ გაითვალისწინა 1.200 ბატქის გამოზრდა.

ცალკეულ კოლმეურნეობებში საწარმოო გეგმები არ ეთანხმება კოლმეურ-  
ნეობათა მიერ მტს-ებთან დადგებულ ხელშეკრულებებს, სატრაქტორო სამშუაო-  
თა შესრულების შესახებ.

ასე, მაგალითად, III ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობის მიერ  
ბორჩალოს მტს-თან დადგებული ხელშეკრულება ითვალისწინებს პლანტაჟის გა-  
შენებას 8 ჰექტარ ფართობზე, კოლმეურნეობის საწარმოო გეგმით კი გათვა-  
ლისწინებულია 5 ჰექტარი; ხელშეკრულებით გათვალისწინებულია 57 ჰექტარი  
თავთავიანი კულტურების ნათესების აღება კომბაინით, კოლმეურნეობის საწარ-  
მოო გეგმა კი ითვალისწინებს 50 ჰექტარის აღებას. კოლმეურნეობასა და მტს-ის  
შორის დადგებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგაზაფხულო ხენა  
10 ჰექტარ ფართობზე, 35 ჰექტარის გადახვნა და 20 ჰექტარი საშემოდგომო

კულტურების თესვა სრულიად არ არის შეტანილი კოლმეურნეობის საჭიროების გეგმაში.

საწარმოო გეგმებისა და შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვების შედგენა და კოლმეურნეობა საერთო კრებებზე განხილვა და დამტკიცება მთელ რიგ შემთხვევებში ფორმალურად ხდება. კოლმეურნეობათა უმრავლესობაში მთელი წლის მანძილზე არ ამოწმებენ და კოლმეურნეობა საერთო კრებას მოხსენებას არ უკეთებენ თუ როგორ მიმდინარეობს საწარმოო გეგმისა და შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვების შესრულება. ზოგიერთ შემთხვევაში კოლმეურნეობათა გამგეობებს თვითონ შეაქვთ შემდგომი ცვლილებანი გეგმებსა და შემოსავალ-გასავალის ხარჯთაღრიცხვებში ისე, რომ ამას კოლმეურნეობა საერთო კრებებს არ ატყობინებენ, მთელ რიგ შემთხვევებში კი საჭირო ცვლილებანი სრულიადაც არ შეაქვთ.

საწარმოო გეგმების შედგენის დროს საქმიანდ არ არის გათვალისწინებული იმ მოწინავე კოლმეურნეობების, საკოლმეურნეო ბრიგადების, რგოლებისა და მოწინავე კოლმეურნეობა მიღწევები და მუშაობის გამოცდილება, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალ მოსავალს და მეცხოველეობის დიდ პროდუქტიულობას იღებენ. ამის შედეგად კოლმეურნეობათა არსებული უდიდესი შესაძლებლობანი მეტწილად გამოუყენებელი რჩება.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში შემოღებული არ არის საწარმოო-საგეგმო დავალებათა შედგენა ბრიგადებისათვის, ხოლო რგოლებისათვის საწარმოო დავალებებს სრულიად არ აღენიდნენ. საწარმოო გეგმების შედევნის პარალელურად არ სწარმოებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების გამომზადების ნორმებისა და შეფასებათა დაზუსტება და დამტკიცება ბრიგადების და რგოლების დაკომპლექტება ცალკეული ბრიგადებისა და რგოლების სამუშაოთა მოცულობის გაუთვალისწინებლად ხდება. საკოლმეურნეო წარმოების საეთი დაგეგმის შედეგად ადგილი იქნა ბრიგადების არასრულად დატვირთვას, კოლმეურნეობა ნაწილს სრულიადაც არ ანაწილებენ ბრიგადების მიხედვით, არამედ „რეზერვად“ „არასაგეგმო მუშა-ხელად“ იტოვებენ.

ანალოგიურ ფაქტებს ადგილი იქნა მახარაძის, სამტრედის, წყალტუბოს, თელავის, გურჯაანის და სხვ. რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებშიც.

საკოლმეურნეო წარმოების დაგეგმის საქმეში არსებულ ამ ნაკლოვანებათა ერთეული მიხეს წარმოადგენს აგრონომთა, ზოოტექნიკოსთა და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტთა სრულიად არასაქმაოდ გამოყენება კოლმეურნეობათა საწარმოო გეგმებისა და შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვების შედევნის საქმეში.

შიდასაკოლმეურნეო წარმოების დაგეგმის საქმის რადიკალურად გაუმჯობესებისა და როგორც საწარმოო გეგმების, ისე შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვების დროულად და ხარისხოვნად შედგენის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღვნენ:

1. წინადადება მიეცეს საქ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებსა და რაიონმეურებულის აფხაზეთის და აჭარის ასრ სახელმისამართის. მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) დაუყოვნებლივ მოაწყონ მუშაობა კოლმეურნეობებში საწარმოო გეგმებისა და შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვების შესაღენად იმ ანგარიშით, რომ მათი შედგენა და კოლმეურნეობა საერთო კრებებზე განხილვა და დამტკიცება დამთავრდეს 1941 წ. 15 თებერვალისთვის;

ბ) კოლმეურნეობებში საწარმოო გეგმებისა და შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვების შედგენის პერიოდისათვის მიამაგრონ კოლმეურნეობათა ჯგუფებს დახმარების გასაწევად საანგარიშო დარგის მუშავები და სოფლის მეურნეობის ყველა სცეციალისტი.

დაწესდეს, რომ კოლმეურნეობებზე მიმაგრებულ სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს (აგრონომები, ზოოტექნიკოსები) და საანგარიშო დარგის მუშაკებს, კოლმეურნეობათა გამგეობების თანაბრად, ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა კოლმეურნეობათა საწარმოო გეგმების და შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვების სწორად და დროულად შედგენისათვის;

გ) უზრუნველყონ ყველა კოლმეურნეობაში საწარმოო გეგმებისა და შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვების გულმოდგინედ განხილვა კოლმეურნეობათა საერთო კრებებზე. კოლმეურნეობა საერთო კრებებზე ამ საკითხის განხილვისას უზრუნველყონ, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების გარდა, აგრეთვე რაიონის ერთერთი პასუხისმგებელი მუშავის (საქ. კ. პ. (ბ) რაიონმების მდივნები, რაიალმისკომების თავმჯდომარეები, რაიკომებისა და რაიალმასკომების განყოფილებათა გამგეები, მტს-ების დირექტორები და სხვ.) დასწრება;

დ) 1941 წ. 1 მარტამდე დაამთავრონ ყველა კოლმეურნეობის საწარმოო გეგმებისა და შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვების განხილვა მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტების სხდომებზე, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ საწარმოო გეგმები შეესაბამებოდეს მოცემული კოლმეურნეობისათვის დაწესებულ სახელმწიფო დავალებებს და შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვები — სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებას (კოლმეურნეობათა განუყოფელი და სხვა ფონდების შექმნა, აღმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების ნორმების დაცვა და სხვ.).

ე) დაევალოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ყველა სამიწათმოქმედო განყოფილების გამგეებს, მტს-ების დირექტორებს და კოლმეურნეობათა გამგეობების თავმჯდომარეებს:

ა) საწარმოო გეგმებისა და შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვების შედეგნის დროს გაითვალისწინონ კოლმეურნეობათა მთელი შესაძლებლობანი შემოსავლიანობის გადიდების საქმეში, და გაითვალისწინონ გეგმებით იმ აგროზომოტექნიკურ ღონისძიებათა სავალდებულო გატარება, რომლებიც უზრუნველ-

ჰეთი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებას უმცირეს ხოველეობის პროდუქტიულობის ზრდას;

ბ) შეიმუშაონ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გამომუშავების ნორმები და შეფასებანი, რაც განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგინონ კოლ-მეურნეთა საერთო კრებებს;

გ) დააწესონ საწარმოო გეგმები-დავალებანი ყველა ბრიგადისა და რეოლისათვის;

(დ) სწორად დააკომპლექტონ ბრიგადები და რეოლები, არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან კოლმეურნეთა ნაწილის დატოვება ბრიგადებისა და რეოლების გარეშე ან მათი დაუტკირთველობა საკოლმეურნეო წარმოებაში. მიამაგრონ ბრიგადებსა და რეოლებს განსაზღვრული ნაკვეთები, საწარმოო ინვენტარი და პირუტყვი. ნაკვეთების, საწარმოო ინვენტარისა და პირუტყვის მიმაგრება გააფორმონ სათანადო აქტებით.

### 3. დაევალოს კოლმეურნეობათა გამგეობებს:

ა) ყოველგვარი ცვლილები კოლმეურნეობათა საწარმოო გეგმებსა და შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვებში წლის მანძილზე შეიტანონ მხოლოდ კოლმეურნეთა საერთო კრებების გადაწყვეტილებით და შერომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმისრულებელა კომიტეტების თანხმობით;

ბ) კვარტალში ერთხელ მაინც ჩაბარონ ანგარიში კოლმეურნეთა საერთო კრებებს წლიური საწარმოო გეგმისა და შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვის როგორც რიცხვობრივად, ისე ხარისხობრივად შესრულების მიმღინარეობის შესახებ, ამასთან უზრუნველყოფით საწარმოო გეგმისა და ხარჯთაღრიცხვების სავალდებულო წინასწარი შემოწმება კოლმეურნეობათა სარევიზიო კომისიების მიერ. კოლმეურნეთა საერთო კრებებზე მოსმენილ იქნას აგრეთვე სარევიზიო კომისიების თანამოხსნებანი.

### 4. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს:

ა) მოაწყოს კოლმეურნეობათა საწარმოო გეგმებისა და შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვების შედგენის მუშაობის მიმღინარეობის სისტემატური შემოწმება და კონკრეტული დახმარება გაუწიოს რაიონებს ამ საქმეში;

ბ) დაადგინოს კოლმეურნეობათა საწარმოო გეგმებისა და შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვების შემოწმების წესი იმ ანგარიშით, რომ გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების განხილვა და სათანადო დასკვნების მიცემა დამთავრდეს 1941 წ. 1 აპრილამდე;

გ) დაამთავროს ყველა კულტურის არსებული აგროწესების გადასინჯვა, საჭირო ცვლილებისა და დამატებების შეტანა აგროწესებში და 1941 წ. პირველ თებერვლამდე დაიყვანოს ეს აგროწესები რაიონებამდე და კოლმეურნეობებიმდე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტი რაიონული პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებისა-გან მოითხოვენ კოლმეურნეობათა საწარმოო გეგმებისა და შემოსავალ-გასავლის

ხარჯთაღრიცხვების შედგენის ხაზით წარმოებული მუშაობის ისე მოწყობას, რომ ამ საქმეში ჩაბმულ იქნან კოლმეურნეთა ფართო მასები.

კოლმეურნეობებში შრომის უკეთესი ორგანიზაციის, შრომის დისკიპლინის განმტკიცებისა და სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის საფუძველზე, მიაღწიონ მთელი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის შემდგომ გადაიდებას, მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდას და ცალკე თვითოული კოლმეურნეობის მიერ სახელმწიფოს წინაშე თავის ვალდებულებათა უცოლობლივ შესრულებას.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს

თავმჯდომარე გ. ბაქრაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ც.კ.-ის

მდგვანი კ. ჩარკვიანი.

1941 წ. იანვრის 10 № 50.

თბილისი.

28. საკოლმეურნეო განუყოფელი ფონდების მდგომარეობის შემოწმების მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ საკოლმეურნეო განუყოფელი ფონდების მდგომარეობის შემოწმება მთელ რიგ რაიონებში სრულიად არადამაკაყოფილებლად შიმდინარეობს.

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ ჩატარებული შემოწმებით გამოირკვა, რომ ჩხარის რაიონში 1941 წ- 10 იანვრი-სათვისაც არ იყო გამოყოფილი საკოლმეურნეო განუყოფელი ფონდების შემოწმებელი რაიონული კომისიები, ხოლო ჩოხატაურის რაიონში 1940 წლის 21 დეკემბერს გამოყოფილი კომისიები 1941 წ. 12 იანვრამდე მუშაობას არ შესდგომიან.

თელავისა და მაიკოვსკის რაიონებში, საკოლმეურნეო განუყოფელი ფონდების მდგომარეობის შემოწმების არადამაკაყოფილებელ მიმდინარეობასთან ერთად, სრულიად არ არის მოწყობილი მუშაობა იმისათვის, რომ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებმა განიხილონ შემოწმების აქტები.

თელავის რაიონში 131 კოლმეურნეობიდან განუყოფელი ფონდების შემოწმება ჩიტარებულია 37 კოლმეურნეობაში, მაგრამ აქტები ჯერ კიდევ არ განუხილავს და არ დაუმტკიცება მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს; მაიკოვსკის რაიონში 37 კოლმეურნეობიდან განუყოფელი ფონდი შემოწმებულია 17 კოლმეურნეობაში, მაგრამ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს არცერთი აქტი არ დაუმტკიცებია.

თელავის რაიონში სწორად ვერ გაიგეს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება განუყოფელი ფონდების მდგომარეობის შემოწმების შესახებ, რის შედეგადაც რაიონული კომისიები, ამოწმებენ რა განუყოფელი ფონდების შესახებად ფულადი სახსრების ანარიცხების გამოყენებას, არ ამოწმებენ განუყოფელი საკოლმეურნეო ფონდის შექმნის ყოველგვარი წყაროს მდგომარეობას.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღგენენ:

1. წინადადება მიეცეს ჩხარის, ჩოხატაურის, თელავის და მაიაკოვსკის რაიონების მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტების თავმჯდომარეებს და საქ. კ. პ. (ბ) რაიონული კომიტეტების მდივნებს დაუყოვნებლივ აღმოფხვრან ზემოთაღნიშნული ნაკლოვანებანი და მოაწყონ საკოლმეურნეო განუყოფელი ფონდების შემოწმებელი ყველა რაიონული კომისიის მუშაობა იმ ანგარიშით, რომ დამთავრდეს იური დაწესებულ ვადაში.

2. განებარტოს საქ. კ. პ. (ბ) თელავის რაიონის რაიონული კომიტეტის მდივანს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეს, რომ შემოწმებულ უნდა იქნას კოლმეურნეობის განუყოფელი ფონდის ყოველგვარი წყარო-ფულადი სახსრების ანარიცხები განუყოფელი ფონდის შესახებათ, წევრთა მიერ განსაზოგადოებული ქონების ღირებულება, საკოლმეურნეო პირუტყვის ნამატისა და ზრდის ღირებულება, მშენებლობისა და მრავალწლოვანი ნარგვების გაშენების დაგროვებანი, უსასყიდლო მიღებული ქონების ღირებულება, მთავრობის გადაწყვეტილებით ჩამოწერილ სესხთა დანარიცხები და გრძელვადიანი საწარმოო კრედიტები, რაც დაბანდებულია კოლმეურნეობათა ძირითად საწარმოო საშუალებებში.

3. წინადადება მიეცეს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოების თავმჯდომარეებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასრომის თავმჯდომარეს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრომების თავმჯდომარეებს; საქ. კ. პ. (ბ) საოლქო და სარაიონო კომიტეტების მდივნებს განიხილონ საკოლმეურნეო განუყოფელი ფონდების შემოწმების მიმღინარეობა და დასახონ ლონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მუშაობის დამთავრებას დაწესებული ვადისათვის.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს

თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ც.კ.-ის

მდივანი კ. ჩარკვიანი.

## სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებაზი

29. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ნაკრძალების, ზოოპარკებისა და ზოობაღების სამმართველოს უფროსად პროფესორ ნ. ნ. კეცხოველის დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღვენს:

დაინიშნოს პროფესორი ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე კეცხოველი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალების, ზოოპარკებისა და ზოობაღების სამმართველოს უფროსად საქართველოს ამხ. ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მუშაობის შეთავსებით.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თაგმუდომარე გ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1941 წ. იანვრის 11. № 42.

თბილისი.

30. „მუშებისა და მოხამისახურებისათვის უფასოდ დასარიგებლად საწარმოებისა და დაწესებულებებისათვის უურნალ-გაზეთების გამოწერის აკრძალვის თაობაზე“ სსრ კავშირის საქომისაბჭოს 1937 წ. 25 დეკემბრის და საქართველოს სსრ საქომისაბჭოს 1938 წ. 2 იანვრის დადგენილებათა შესრულების შესახებ.

საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის მიერ ჩატარებული შემოწებით გამოიჩინა, რომ საქართველოს სსრ, მთელ რიგ სახალხო კომისარიატებსა, საწარმოებსა და დაწესებულებებში არ სრულდება სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 25 დეკემბრის (კან. კრ. 1938 წ. № 1, მუხ. 5) და საქართველოს სსრ საქომისაბჭოს 1938 წ. 2 იანვრის (საქ. სსრ კან. კრ. 1938 წ. № 1, მუხ. 5) დადგენილებანი მუშებისა და მოსამსახურებისათვის უფასოდ დასარიგებლად, საწარმოებსა და დაწესებულებებისათვის უურნალ გაზეთების გამოწერის აკრძალვის შესახებ“.

სახალხო კომისარიატების, საწარმოთა და დაწესებულებათა ზოგიერთი ხელმძღვანელი, იწერს რა პერიოდულ ლიტერატურას, მის მნიშვნელოვან რაოდენობას უფასოდ ურიგებს თავისი საწარმოსა და დაწესებულების მუშებსა და მოსამსახურებს.

საქართველოს სსრ სოციალური უურუნველყოფის სახალხო კომისარიატში 1940 წელს გამოწერილი იყო 48 ცალი გაზეთი და უურნალი, ამ რაოდენობიდან 46 ცალს უფასოდ არიგებდნენ. ამ სახალხო კომისარიატის საქმეთა მმართველი უფასოდ ღებულობდა 12 სხვადასხვა გაზეთსა და უურნალს.

საქართველოს სსრ მიწათმომედების სახალხო კომისარიატი 1940 წელს გამოწერილი 151 ცალი გაზეთი და უურნალიდან, უფასოდ ურიგებდა სახალხო

კომისარიატის მუშავებს 150 ცალ გაზეთსა და უურნალს. ამ სახალხო კომისარიატის საქმეთა შპართველი იღებდა 7 გაზეთსა და უურნალს, მათ შორის უურნალ „საბჭოთა ხელოვნებას“ და „სოციალურ უზრუნველყოფას“.

საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატში 1940 წელს გამოშერილი 158 ცალი გაზეთიდან და უურნალიდან, მუშავებს უფასოდ ურიგებდნენ 96 გაზეთსა და უურნალს. ამ სახალხო კომისარიატის მთავარი ბუხბალტერი მთელი წლის განმავლობაში უფასოდ იღებდა გაზეთ „ზარია გოსტოკა“-სა და „კომუნისტს“.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატში 1940 წელს გამოშერილ ყველა 30 ცალ გაზეთსა და უურნალს უფასოდ ურიგებდნენ სახალხო კომისარიატის მუშავებს. სახალხო კომისარიატის კანცელარიის გამგე, კონსულტანტები და საგეგმო განყოფილების უფროსი უფასოდ იღებდნენ სამ-სამ ცალ გაზეთს.

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატში 1940 წელს გამოშერილ 36 ცალ გაზეთსა და უურნალს უფასოდ ურიგებდნენ სახალხო კომისარიატის მუშავებს.

საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატში 1940 წლის განმავლობაში უფასოდ არიგებდნენ 62 ცალ გაზეთს სახალხო კომისარიატის აბრეშუმის სამშართველოს უფროსი უფასოდ იღებდა 3 ცალ გაზეთს, ხოლო კომისარიატის ფინანსისტი—2 ცალ გაზეთს.

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის დირექტია 1940 წელს უფასოდ არიგებდა 57 ცალ გაზეთს.

ამ ქარხნის მიღებისა და დათხოვნის განყოფილების უფროსი დი მთავარი ბუხბალტერი უფასოდ იღებდნენ ოთხ-ოთხ ცალ გაზეთს.

თბილისის მაუდის ფაბრიკის დირექტია უფასოდ ურიგებდა ფაბრიკის მუშავებს 77 ცალ გაზეთს. ამ ფაბრიკის პირადი შემადგენლობის მაგიდის გამგე საწარმოს ხარჯზე უფასოდ იღებდა 4 ცალ გაზეთს, ტექნიკური ხელმძღვანელი—4 და მთავარი ბუხბალტერი—4 ცალ გაზეთს.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფართოდ არის შემოღებული გაზეთების და უურნალების გამოშერა უნივერსიტეტის მუშავებისა და სტუდენტებისათვის უფასოდ დასარიგებლად, პრორექტორი ადმინისტრაციულ-სამეცნიერო ნაწილში უფასოდ იღებდა 1940 წელს 6 გაზეთსა და უურნალს, მათ შორის უურნალ „ოგონიოქს“, ხოლო მთავარი კონტროლიორი—3 გაზეთს. სტუდენტებს უფასოდ ურიგებდნენ 128 ცალ გაზეთს.

შერომელთა დეპუტატების თბილისის საბჭო, მისი განყოფილებები და ტრესტები, მცირე გამონაქლისის გარდა, 1940 წლის განმავლობაში უფასოდ არიგებდნენ 398 სხვადასხვა გაზეთსა და უურნალს, ჯანმთელობის დაცვის განყოფილების გამგის მოადგილე 21 ცალ გაზეთსა და უურნალს იღებდა.

დარღვევის ანალიგიურ ფაქტებს ადგილი აქვს სხვა შემოწმებულ სახალხო კომისარიატებსა, საწარმოებსა და დაწესებულებებშიც.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ცირკულარი  
გვ. 1940 წლის 10 ნოემბრის

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებისა, საწარმოებისა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს დაუყოვნებლივ მოულონ ბოლო მუშებისა და მოსამსახურებისათვის უფასოდ დასარიგებლად საწარმოებსა და დაწესებულებებისათვის უურნალ გაზეთების გამოწერის აკრძალვის თაობაზე სსრ კავშირის სახეომსაბჭოს 1937 წლის 25 დეკემბრის და 1940 წლის 13 დეკემბრის (სსრკ კან. კრ. 1938 წ. № 1, მუხ. 5; დადგ. კრ. 1940 წ. № 32, მუხ. 809) და საქართველოს სსრ სახეომსაბჭოს 1938 წლის 2 იანვრის (საქ. სსრ კან. კრ. 1938 წ. № 1, მუხ. 5) დადგენილების დარღვევის.

2. დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასრულებელ კომიტეტს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შეამოწმონ, თუ როგორ სრულდება სსრ კავშირის სახეომსაბჭოს 1937 წლის 25 დეკემბრის, 1940 წლის 13 დეკემბრის და საქართველოს სსრ სახეომსაბჭოს 1938 წლის 2 იანვრის დადგენილებანი მუშებისა და მოსამსახურებისათვის უფასოდ დასარიგებლად საწარმოებისა და დაწესებულებებისათვის უურნალ გაზეთების გამოწერის აკრძალვის შესახებ.

3. დაწესდეს, რომ გაზეთებას და სპეციალურ უურნალებს სახალხო კომისარიატის, დაწესებულებების ან საწარმოს მუშაობის ხასიათის მიხედვით განვიწერენ დაწესებულებანი და საწარმოები ერთიდან 5 ცალამდე თვითეული სახელწოდებისას მხოლოდ საერთო სარგებლობისათვის ისე, რომ შემდეგში ეს ნომრები სავალდებულოდ ინახებოდეს ბიბლიოთეკებში ან არქივებში.

4. აიკრძალოს გაზეთებისა და უურნალების გამოწერა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის (პროფესიონალური ერთიანობა 5 ცალამდე თვითეული სახელწოდებისას მხოლოდ საერთო სარგებლობისათვის ისე, რომ შემდეგში ეს ნომრები სავალდებულოდ ინახებოდეს ბიბლიოთეკებში ან არქივებში).

5. წინადადება მიეცეს ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელებს აღადგინონ 1940 წელს გადარიცხული თანხები, რომლებითაც უნდა გმოოწვრათ გაზეთები და უურნალები მუშებისა და მოსამსახურებისათვის უფასოდ დასარიგებლად 1941 წელს.

6. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს, ამ დადგენილების შესაბამისად, შეამციროს სახსრების მიცემა ბიუჯეტით სახალხო კომისარიატებისა და ორგანიზაციებისათვის გაზეთებისა და უურნალების გამოსაწერად.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

31. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან ნაკრძალების, ზოობარქებისა და ზოობალების სამმართველოს მოწყობის შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 14 ოქტომბრის დადგენილებისა „მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოსთან ნაკრძალების, ზოობარქებისა და ზოობალების სამმართველოთა შესახებ“, (სსრკ დადგ. კრ. 1939 წ. № 55, მუხ. 530) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოწყობის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან ნაკრძალების, ზოობარქებისა და ზოობალების სამმართველო.

2. დაეკისროს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალების, ზოობარქებისა და ზოობალების სამმართველოს:

ა) სახელმწიფო ნაკრძალების უშუალო მართვა-გამგებლობა;

ბ) აეტონომიური რესპუბლიკების სახელმისაბჭოების, საოლქო, საქალაქო და სარაიონო აღმისარულებელი კომიტეტების ბიუჯეტზე მყოფი ნაკრძალების, ზოობარქებისა და ზოობალების მუშაობის ორგანიზაცია, სამეცნიერო-მეთოდური ხელმძღვანელობა და კონტროლი;

გ) ახალი ნაკრძალების, ზოობარქებისა და ზოობალების მოწყობა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით;

დ) სანადირო-სარეწი ფაუნის აღრიცხვისა და უფრო რაციონალურად გამოყენების მეთოდების შემუშავება;

ე) ზოობარქებისა და ზოობალების ქსელის დაგეგმვა, ცხოველთა ეგზემ-პლიარებით მათი მომარავების მოწესრიგება იმპორტის, დაქრის, გადაცელის და სხვა ორგანიზაციებისაგან შესყიდვის, აგრძოვე გარეულ ცხოველთა ეგზემ-პლიარების ექსპორტის გზით.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალების, ზოობარქებისა და ზოობალების სამმართველოს უფროსს:

ა) საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან (ამს. ციმაკურიძესთან) ერთად შეიმუშაოს და საქართველოს სსრ სახელმისაბჭოს 5 ლილის ვა-დაში წარმოუდგინოს დასამტკიცებლად ნაკრძალების, ზოობარქებისა და ზოობალების სამმართველოს შტატი, სტრუქტურა, ხელფასის ფონდი და ხარჯთაღ-რიცხვა 1941 წლისათვის;

ბ) ერთი დეკადის ვადაში შეიმუშაოს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად წარმოუდგინოს დებულება ნაკრძალების, ზოობარქებისა და ზოობალების მთავარ სამმართველოს შესახებ.

4. ლიკვიდირებულ იქნას 1941 წლის 15 იანვრიდან საქართველოს სამართლებრივი კურტი, რომლის მთელი საქმეები, ქონება, მოწყობილობა და სახსრები გადაეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალების, ზოობარებისა და ზოობალების სამმართველოს.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1941 წ. იანვრის 11. № 63.  
თბილისი.

32. ამხ. ბ. ჩხეიძის საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილებრივი დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

დაინიშნოს ამხ. ბეჭან ალექსანდრეს-ძე ჩხეიძე საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის საბიუჯეტო სამმართველოს უფროსად და ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილედ.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1941 წ. იანვრის 18. № 98.  
თბილისი.

33. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემაღენლობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. განთავისუფლებულ იქნან ამხ. რ. ს. შადური და ლ. ს. გეგეშიძე საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემაღენლობიდან სხვა სამუშაოზე გადასცლასთან დაკავშირებით.

2. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემაღენლობაში შეუკვანილ იქნან ამხ. უ. პ. ობოლაძე და მ. ი. ჩხეტია.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1941 წ. იანვრის 25. № 108.  
თბილისი.

34. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისიის მიერ შემადგენლობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისიართა საბჭო ადგენს:

1. განთავისუფლებულ იქნან საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობილან ამს. ა. ვ. ბუხნიკაშვილი, ი. დ. ლოხიშვილი და მ. გ. ზაცარნი სხვა სამუშაოშე გადასვლის გამო.
2. შეყვანილ იქნან საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობაში ამს. ა. პ. ხიდაშელი, შ. დ. ვაშავიძე და გ. ლ. სურგულაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1941 წ. იანვრის 25. № 109.

თბილისი.

41-7  
နိုင်ငံတေသန  
ပြည်ထဲရေးဝန်ကြီးခွဲ  
/24

ဒုက္ခနမြေဆောင်း၊ စာရွက်ဖွေ့ကြော် ပြည်တေသန ပြည်ထဲရေးဝန်ကြီးခွဲ စာမျက်နှာ

ဗိုလ် နာဂုံစာရွက် ပြည်ထဲရေးဝန်ကြီးခွဲ  
နေပါတ် ၁၂၅၀ ပြည်ထဲရေးဝန်ကြီးခွဲ

မြန်မာနိုင်ငံ ပြည်ထဲရေးဝန်ကြီးခွဲ



ပြုစေ ၄၀ ပါတ်

ဤ အာမာန် ပြည်ထဲရေးဝန်ကြီးခွဲ နေပါတ် ၁၂၅၀ ပြည်ထဲရေးဝန်ကြီးခွဲ ဖြစ်သည်။

ပြည်ထဲရေးဝန်ကြီးခွဲ

ပြည်ထဲရေးဝန်ကြီးခွဲ